# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 4 — სამშაბათი, 6 იანვარი 1909 წ. — № 4

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით წლის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: წვრილი შრიფტის სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისში ღირს 1 მან., ზოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

## დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ✦

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის სააგენტოს" დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ✦

✦ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთიამად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

## კალენდარი 1909 წლისა

**ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში:**
„დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნამალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა მიიღება: **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან; **გორში**—ს. პ. მშველიძესთან; **სურამში**—ქვლივიძესთან; **ცხინვალში**—ა. კვალინიძესთან; **თელავში**—კ. ონიკაშვილთან.

◀ **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** ▶

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ტფილისში ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



წარმოდგენა № 7. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 7.

ოთხშაბათს, 7 იანვარს 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **პირველად ახალი პიესა კ. ლემონიესი.**

## ❖ ხელები ❖

დრამა 5 მოქმედ. თარ. ნ. ნაკაშიძისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ვ. ბარათაშვილი, მ. მდივანი, პ. ნემიერიძისა, ა. საგინაშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ბადრიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ნ. გვარამძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ზამბელი, მატარაძე, კ. მესხი, მურვანიშვილი, ი. ყიფიძე, მ. საფაროვი, ხანადირაძე, ვ. ურუშაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 12 მ.-დან 3 მ.-მდე, პარტერი 3 მ. 50 კ.-დან 1 მ. გალერეია 60 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „ღალატი", „მეგობრობა", „რევიზორი", „სალხინო".
უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.



**ტფილისის სახაზინო თეატრი**

სამშაბათს, 6 იანვარს, ორი წარმოდგენა:

**დილით დაკლ. ფას.: 1. „მხიარული ქვრივი"; 2. პროჟექტორი.**

**საღამოთი: „მშვენიერი ელენე"**

მონაწილენი: ქ-ნნი დრუზიაკინა, არდი, კალინინა მეორე; ბ-ნნი დანილევსკი, ევლახოვი, სიმონოვი, ულუხანოვი, ლუტჩევი, კარელინი და სხვ.

რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** ხვალ პირველი გასტროლი ლონდონის სამეფო თეატრის პრიმადონის **ქ-ნ ვანდ-ბრანდტისა.** 8 იანვარს „ზაზა".





## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

სამშაბათს, 6 კვირას, იანვარს, ორი სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. დღისით დაკლებ. ფასებით, ბავშვებისათვის. დასაწ. 2 საათზე. მონაწ. იღებენ ყველა კლოუნები, კომიკები, **რიჩარდ რიბო** თავის გაწვრთნილ პირუტყვებით. დასასრულ დიდი პანტომიმა **„ალმოსავლეთის ქალი".** საღამოთი დასაწყისი 8 ნახ. საათზე მონაწილეობას იღებენ საუკეთესო არტისტები. დებიუტი თეთრი კაცებისა. დღეს გამოდიან ახალი ცხენოსნები, ახალი კლოუნები, გიმნასტები, ცხენები და სხვანი. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10 საათზე საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგულ **ჭიდაობისა** 8000 ფრანკ პრიზზე. ეჭიდავებენ: **1. ოსიპენკო და ტომაშევიჩი; 2. მულდონი და ყარა-მუსტაფა; 3. სევიჩი და ლურიხი.** დაწვრილებით პროგრამებში. 6 იანვარს ორი წარმოდგენა; დღისით დაკლებ. ფასებით.

(0—1) დირექტორი ცირკისა **ძმ. ალ. ნიკიტინი.**



◀ **საერო განათლების სამინისტროს ხელ-ქვეით მყოფი** ▶

## კერძო სასწავლებელი

მეხუთე ქალთა გიმნაზიის ყოფილ უფროსის

**ლიუდმილა თეოდორეს ასულის პეტრაშევსკისა**

მიხეილის პროსპექტი, №. 16.

დაიწყო მიღება ქალებისა და ვაჟებისა მოსამზადებელ 1, 2 და 3 კლასებში. დაწვრილებითი ცნობები სკოლის სადგომში ყოველ-დღე 10—2 საათამდე. საბავშვო ბაღი და პანსიონი. (10—ნასყ.—1)



**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—29)

**ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში** შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ზ. თ. ნიჟარაძისა (6—40)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—65)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—65)

**ექიმი ი. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგქალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი თვალისა ზ. მ. ცხვედაძე** დერპტის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—19)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში** იღებს შინაგან, სამარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 19—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ სათ. ლეჟავოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—25)

**ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი, ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—23)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)



**8 დეკემბერს გაიხსნა ახალი**

## ტფ. კერძო სამკურნალო (ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკეს ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

**ექ. ი. ზ. ფედოროვი:** ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

**ექ. ვ. დ. ლამბაშიძე:** ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

**ექ. ზ. ა. პოპოვი:** ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

**ექ. ზ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოვ დღე; 11 ნახ.—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

**ექ. ი. ზ. გომართელი:** ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ზიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

ამ ტიკეტ ჩანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—20)



**გაწვრთნილი რეპეტიტორი-სტუდენტი**

უნივერსიტეტისა ხელმისაწვდენ ფასად ამზადებს და ასწავლის ბავშვებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ რედაქცია „დროებაში".

## დაკარგე

სადგ. სამტრედიასა და ტფილისს შუა **5 წლის პასპორტის წიგნაკი,** უბის საბუთები და ოცდა-რვა მანეთი ფული. მნახველს ვთხოვ გამომიგზავნოს 25 მანეთის ფას-დადებით მარტო პასპორტი და საბუთები **ბაქოში,** ტელეფონის ქ., სახლი № 18.

(1—6—1) **ანტონ ქანდარია.**



**„ტფილისის სობრანიე"**

სამშაბათს, 6 იანვარს 1909 წ. წევრთათვის, კანდიდატთა და მათ ოჯახთათვის ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## პირველი ბუზი

კომ. 4 მოქმედებად ველიჩკოსი. გად. ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილენი: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ვ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ნ. გვარამძე, ი. ყიფიძე, ს. სვიმონიძე, მ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

**დასაწყისი სწორედ 8 ნახ. საათზე.**

(1—2—1)


**ტფილისი, 6 იანვარი.**

შექსპირის დრამაში დანიის პრინცი ჰამლეტი სასტიკ ანალიზის ცხრილში ატარებს თავის პიროვნებას და ბოლოს გულამღვრეული დაასკვნის, რაც უნდა სამარცხვინო სახელი მიწოდონ, რაც უნდა მლანძღონ, პირში რო ჩამაფურთხონ, მე მაინც შეურაცხყოფას ვერ ვიგრძნობ, ისე დაცემული ვარო. უეჭველია, ჰამლეტი ცოტა გადაჭარბებულად ჰგმობს თავის თავს, რადგან თვით აზრი, რომ იგი ყოველსავე შეურაცხყოფაზე დაბლა სდგას, ამხელს იმის მორალურ სიამაყეს და თავმოყვარეობას. სრულ სიმართლეს ამბობს არა ჰამლეტი, არამედ შექსპირი, რომელმაც მორალურ ღირსების საზომად თავმოყვარეობა გაახდევინა დანიის პრინცს...

იქნება ჩვენი მკითხველისთვის უცნაური და გაუგებარი იყოს, რატომ ჩამოვაგდეთ ასე მოულოდნელად სიტყვა ჰამლეტის თავმოყვარეობაზე? ეხლავე განვმარტავთ. საქმე ის არის, რომ ნორმალურ პირობებში თავმოყვარეობის გრძნობა მარტო განცალკევებულ პიროვნებას კი არ გააჩნია, არამედ უფრო უმეტესად ადამიანთა სხვა და სხვა კრებულს. უფრო მეტის თქმა შეიძლება: თავმოყვარეობა კერძოთ თითოეულის ადამიანისა არასოდეს არ არის იმდენად მგრძნობიარე, რამდენათაც თავმოყვარეობა კრებულისა. უეჭველია, გეცოდინებათ, რა მწვავედ და რა სხარტულად ამოჰხეთქავს ხოლმე ჩვეულებრივი წოდებრივი თავმოყვარეობა თუ კი იმას შეეხო ვინმე ხეპრულის ენით. და როცა რაიმე ჯგუფის თავმოყვარეობა სიმახვილეს ჰკარგავს, ეს ან იმის ნიშანია, რომ ეს ჯგუფი სულიერ დაშლის გზაზე სდგას, და ან იმის, რომ ამ ჯგუფის გულში გრძნობათა ზღვა გროვდება, რომელიც ჯერ-ჯერობით კალაპოტშია ჩაჭედილი, მაგრამ ოდესმე კი გაარღვევს მას. ჩვენის დაკვირვებით არც ერთი ჯგუფი, არც ერთი საზოგადოებრივი ერთეული არ არის ისე გრძნობიერი თავმოყვარეობის მხრივ, როგორც ნაცია. ეს ფაქტია და ამისი მიზეზები, ვისაც სად ენებოს, იქ მოძებნონ. ორი წლის წინად, მაშასადამე ჩვენს ხსოვნაში, ევროპაში ერთმა უმნიშვნელო შემთხვევამ ორ სახელმწიფოს (შვეცია - ნორვეგია) განცალკევება გამოიწვია მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნულ სიამაყის გრძნობა შეილახა და იმისი აღდგენა იყო საჭირო. ისტორია სავსეა ეგრედ წოდებულ ნაციონალურ ფანატიზმის მაგალითებით რამდენიც უნდა ჰგმოთ იგი, ადამიანთა ბუნებას მაინც ვერ შესცვლით და ნაციონალური შეურაცხყოფა მაინც ულრმეს და უმწვერვალეს შეურაცხყოფად დარჩა. აქედან თავის თავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ არც ერთი გონიერი ადამიანი არ უნდა შეურაცხყოფდეს ნაციონალურს გრძნობებს. რუსეთის სისხლის სამართლის კანონებიც კი სასტიკ სასჯელით ემუქრებიან იმათ, ვინც ამ მარტივ მცნებას დაარღვევს. ნაციონალურ შეურაცხყოფას განსაკუთრებითის სიფრთხილით უნდა ექცეოდეს პრესსა, რომელსაც ერთის მხრივ საჯარო ხასიათი აქვს და მეორეს მხრივ გამომხატველია არა ერთის კალმოსნის ფიქრისა, არამედ მთელის ჯგუფებისა.

ეს საანბანო ჭეშმარიტება შეუძლებელია არ იცოდნენ იმ რაინდებმა, რომელნიც ტფილისში გაზეთს „გოლოს კავკაზა" გარშემო ტრიალებენ. იციან, ძლიერ კარგად იციან, მაგრამ მათ ალბად ქართველ ერზე ექსპერიმენტის მოხდენა განიზრახეს და საახალწლო ნომერში ისეთი დამამცირებელი ძლევნი მიართვეს მას, რომ უარესი სწორედ ძნელი წარმოსადგენია. რუსული პატრიოტიზმი ჩვენს დროში ფოლადის ჯავშანია; ვინც ამ ჯავშანში ჩაჯდება, იმას ყველაფრის თქმა შეუძლიან; უფრო მეტიც, იმას შეუძლიან დამამცირებელი კითხვები დაგიყენოს წინ და განცხრომილი და დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ პასუხს ვერ მიიღებს... ვერ მიიღებს, იმიტომ რომ ვისაც ეკითხება, იმას პირში ბურთი აქვთ ჩაჩრილი. „მოგვაწოდეთ სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ სად, როდის და რით გამოიხატა ქართულ კულტურის სიდიადე", ბრძანებს „გოლოს კავკაზა" და შემდეგ განმარტავს, ჩვენ ე. ი. რუსებმა „გაგასუფთავეთ, გაგწმინდეთ, გასწავლეთ საცვლების გამოცვლა და მოგეცით განათლებაო"... ამაზე შორს ნაციონალურ თავმოყვარეობის შელახვა, ვფიქრობთ, ველარსად წავა. ქართველი ერი ჰგრძნობს ამ შეურაცხყოფას, მაგრამ იძულებულია ჩუმად იყოს. ჩვენ ვიცით, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში რუსეთის პატრიოტი „კულტურტრეგერები" სკოლას და ცოდნას რუსიფიკაციის იარაღად ხმარობდნენ, ვიცით, რომ ამ მიზეზით მათ მოსპეს და გააუქმეს ჩვენი მშობლიური უმაღლესი სასწავლებლები (მარტო კახეთში რუსეთთან შეერთების დროს 4 უმაღლესი სასწავლებელი იყო), ვიცით, რომ სისტემატიურად აჩანაგებდნენ მთელი ასის წლის განმავლობაში ხალხის ეკონომიურ სიმდიდრეს (მოვიგონოთ საქართველოს ეკლესიის ქონების მითვისება, საქართველოში თათრების, სომხების, გერმანელების და სხვათა ჩასახლება ნაციონალურ მთლიანობის დასარღვევად), ვიცით, რომ ეხლაც კი ტფილისიდან ოცი ვერსის მანძილზე, ერთს სოფელში ხალხისაგან სასკოლოდ აგებული შენობა თვალად გადააქციეს სამხედრო ცხენებისთვის, ვიცით კიდევ მრავალი სულის შემხუთავი ამბავი, მაგრამ ძალა აღმართსა ჰხნავს და შეურაცხყოფილ გრძნობებს ქართველი ერი ჯერ ვერ გამოჰფენს.

შეგიძლიანთ დაგვცინოთ, ყველაფრის ნება გაქვთ და ან კი რატომ არ გექნებათ?! ასის წლის განმავლობაში არც ერთხელ არც ერთი სერიოზული პროტესტი არა ჰსმენია თქვენს ყურს; საქართველოს ინტელიგენციამ თითქოს დაივიწყა თავისი ენაც, ისტორიაც, ეროვნული იდეალიც და რა საკვირველია, რომ გათამამებული ჩვენს გრძნობებზე მალაყს გადასდიოდეთ. მაგრამ მალე თქვენვე დაინახავთ თქვენის ბედნიერის თვალით, რომ ეროვნულ შეურაცხყოფას ინტელიგენცია კი გაპატიებთ, ხოლო ხალხი კი არასოდეს.

## დეპეშები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ჯულფა.** 3 ივნისიდან თავრიზში დაიწყო საარტილერიო ბრძოლა. დიდი ზარბაზნის სროლაა.

ეინუდ-დოვლეს ეშინიან, ვაი თუ ბედის გადამწყვეტ წამს მიღალატონ შაჰის ცხენოსნებმა და ჯარისკაცებმაო, და ამ შიშის გამო იგი არ გადის თავის გამაგრებულ ბანაკიდან ბასმინჯაში.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იანვარი

**მიწის ძვრა**

**მესინა.** 4 იანვარს ერთი სახლის ნანგრევებიდან გამოვიდა ცხრა წლის ბავშვი და სთქვა: ჩემი ორი და— ერთი ოცისა და მეორე თორმეტის წლისა—ცოცხლები ნანგრევებ ქვეშ არისო. მყისვე შეუდგნენ თხრას და მალე ორივე ქალი ცოცხალი ამოიყვანეს და გემ „სავოიაზე" დააწვინეს. ნანგრევებ ქვეშ ესენი 19 დღე ყოფილან. იკვებებოდნენ ხახვით, ღვინით, ზეთის-ხილითა და წყლით. ამათი დედა სახლის დანგრევის დროს მომკვდარა.

დღეს მოხდა პირველი სხდომა პროვინციალურ საბჭოსი. მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც, სხვათა შორის, მთელს ქვეყანას უცხადებენ გულითად მადლობას დახმარებისათვის.

4 იანვარს კიდევ იყო მიწის ძვრა, დაინგრა რამდენიმე კედელი, რომელიც წინად იყო დაზიანებული.

**რომი.** „კორიერ. იტალიას" მესინიდან ატყობინებენ, რომ ჯარის კაცთა რაზმმა მიწის თხრის დროს ნახა სამოცდაათი წლის ქალი, რომელიც უგრძნობლად იყო, მაგრამ სიცოცხლის ნიშნები კი ეტყობოდა. ექიმებს იმედი აქვთ მორჩენისა.

**გელსინგფორსი.** ფინლიანდიაში შეგროვილი ფული იტალიაში დაზარალებულთათვის რიცხვით 35,737 მარკა, გაჰგზავნეს მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ კომიტეტის თავმჯდომარის ჰერცოგ აოსტსკის სახელზე.

**სპარსეთი**

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს" ცნობით ინგლისის მთავრობას ჯერ არავითარი ცნობა არ მოსვლია რუსეთის ახალ წინადადებაზე სპარსეთის თაობაზე. როგორი მოსაზრებაც უნდა გამოითქვას, ყოველ შემთხვევაში მაინც შეიძლება ითქვას, რომ ორივე მთავრობის ერთად ერთი მისწრაფებაა—ისეთი რეფორმები შემოიღებინონ, რომლებიც ბოლოს მოუღებენ სპარსეთის ეხლანდელ ურიგო მდგომარეობას და რომ ორივე მთავრობა თანხმობით მოქმედებს.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** სულთანი უქეიფოდაა. სელამლიკი გადაიხადა, მაგრამ 2 იანვარს აუდიენციები კი გადადვა.

**ბალკანეთი**

**ვენა.** „კორესპ. ბიუროს" სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: პალავიჩინი რამდენსამე საათს ელაპარაკა ქიამილ ფაშას და გარეშე

საქმეთა და ვაჭრობის მინისტრებს. თათბირის დროს შემუშავებული ოქმის პროექტი ავსტრო-ჰუნგრეთ ოსმალეთის შეთანხმების ამ ცხრა მუხლის შესახებ, 4 თებერვალს გადაეცემა ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს განსახილველად, ასევე გაეგზავნება ვენის კაბინეტს.

**ცეტინიე**. ხმა იმის შესახებ, ვითომ მთავარმა ნიკოლოზმა ტახტზე უარი სთქვა, სიმართლეს მოკლებულია.

**ბელგრადი.** პარლამენტის სესია განახლდა. ვოლიმიროვიჩის კაბინეტმა კიდევ წარუდგინა მეფეს თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

**ვენა.** „ზიუდ დეიჩე რეიხს კორ." ურჩევს ბოლგარიას, რაც შეიძლება მალე მოურიგდეს ოსმალეთს, რადგანაც ესე სურთ ყველა სახელმწიფოებს, მხოლოდ ამ პირობით შეუძლიან ბოლგარიას იმედი იქონიოს, რომ ოსმალეთი და სხვა სახელმწიფოები შეიწყნარებენ ბოლგარიის დამოუკიდებლობას და მთავრის ახალ ტიტულს. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ი ურჩევს სერბიას, დაიცვას მშვიდობიანობა და მეგობრობა ავსტრო-ჰუნგრეთთან.

**ბელგრადი**. სერბიის საერო კრების სესია განახლდა. ველიმიროვიჩის სამინისტრომ თხოვნა წარადგინა სამსახურიდან გადგომის შესახებ.

### საზღვარ-გარეთ

**პარიზი**. დეპუტატთა პალატაში ჟორესმა სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო პოლიტიკაზე; მან მოიწონა პიშონის ზომიერი მოქმედება ბალკანეთის საქმეში და კმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ გერმანიაც მშვიდობიანობის სასარგებლოდ მოქმედებდა. ჟორესის აზრით რუსეთმა ყოველი ხერხი მოიხმარა თავის პრესტიჟის აღსადგენად სლავიანის ეროვნებათა თვალში.

**ტულონი**. გარდაიცვალა კომპოზიტორი ერნესტ რეიერი.

**ლონდონი**. „რეიტერს" ატყობინებენ პეკინიდან: ინგლისის ელჩმა პროტესტი გამოუცხადა პრინც ჩინგს იუანშიკაის დათხოვნის თაობაზე. ეს პროტესტი ინგლისის ელჩმა გამოაცხადა დამოუკიდებლად, სხვა ელჩების დაუკითხავად, ინგლისის და ამერიკის მთავრობის მოწერილობის თანახმად. ამის თაობაზე არა ჰქონიათ წინასწარი მოლაპარაკება ვაივუბუში (ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში). აქაური დიპლომატები სხვა და სხვა აზრისანი არიან ამ საქმეზე.

**პეკინი**. პრინცმა ჩინმა დაარწმუნა ინგლისის და ამერიკის ელჩები, რომ იუანშიკაის დათხოვნა არ მოასწავებს ცვლილებას ჩინეთის პოლიტიკაში.

**ბერლინი**. რეიხსტაგმა დაადგინა, კანონ-პროექტი მუშათა პალატებზე კომისიას გადაეცესო. თითქმის ყველა პარტიის ორატორებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს.

**სტოკჰოლმი**. მეფემ დღეს გახსნა დეპუტატთა პალატა. თავის სეფესიტყვაში მეფემ აღნიშნა, რომ შვეციას კარგი განწყობილება აქვს ყველა გარეშე სახელმწიფოსთან და გაიხსენია შეთანხმება ზოგიერთ უცხო სახელმწიფოსთან ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვების შესახებ. ახლად შემუშავებულ კანონპროექტებში მეფემ გაიხსენა პროექტი ახალ საარჩევნო კანონისა.

**დენვერ** (კოლორადო). დენვერრეოგრანდეს გზაზე მგზავრთა მატარებელი დაეჯახა სხვა მატარებელსა. მოკლულია 18, დაჭრილია 30 კაცი.

**სტოკჰოლმი**. გემით „ვეგა" მოვიდა განთქმული მოგზაური სვენ-გედინი. დიდძალი ხალხი მიეგება აღტაცებით. სვენ-გედინს დაუხვდნენ ორსავ პალატის თავმჯდომარენი, გეოგრაფიული საზოგადოება, სტოკჰოლმელ სტუდენტების საზოგადოება და სხვანი. მისასალმებელ სიტყვების შემდეგ სვენ-გედინმა აღელვებულმა მადლობა გადაუხადა ხალხსა და გაიხსენა, რომ 25 წელმა გაიარა მას შემდეგ, რაც მან მიატოვა სამშობლო (შვეცია) და პირველ სამეცნიერო ექსპედიციაში გაემგზავრა. ხალხმა დაიძახა „ურა". სვენ-გედინი ჩაჯდა მეფის ეტლში და წავიდა სასახლეში, სადაც მეფემ მიიღო აუდიენციით და უბოძა პოლიარულ ვარსკვლავის დიდი ჯვარი. სვენ-გედინს მიართვეს დიპლომი ანტროპოლიის და გეოგრაფიის საპატიო წევრობისა.

### რუსეთი

**ბლაგოვეშჩენსკი.** გაცარცვეს ბლაგოვეშჩენსკში მიმავალი ფოსტა. ფოსტალიონი კოჰკლეს.

**პეტერბურგი.** დაკრძალეს ვიცე-ადმირალ როჟესტვენსკის გვამი. გუშინ ხელმწიფის საზღვაო კანცელარიის უფროსმა ხელმწიფე იიმპერატორისა და დედოფლის სახელით განსვენებულის კუბო შეამკო თეთრი ყვავილებით.

**კერჩი**. პოლიცმეისტერ თანოვი სამართალში მისცეს, თანამდებობიდანაც გადააყენეს აღმოჩენილ ბოროტმოქმედების გამო.

**ორიოლი.** საერობო საავადმყოფოში სოფელ პოკუმში, ავადმყოფთა მიღების დროს, სახაზინო ტყის მცველმა ორლულიან თოფით მოჰკლა ექიმი და ფერშალი, ხელახლად გატენა თოფი, თავის თავი დასჭრა და ამ ჭრილობისაგან მოკვდა კიდეც.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავად გახდა 34, მოკვდა—9.

**მოსკოვი.** ქალაქის ახალმა საბჭომ პირველ სხდომაზე ჯამაგირი დაუკლო ქალაქის თავს 30 ათას მანეთიდან 24 ათასამდე წელიწადში. კანდიდატე ად დაასახელეს ეხლანდელი ქალაქის თავი გუჩკოვი 74 ხმით, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ჩელნოკოვი—64 ხმით, სახელმწიფო საბჭოს წევრი შიპოვი ორი ხმით. ახალმა საბჭომ აღძრა საკითხი, დეპეშით თანაგრძნობა გამოვუცხადეთ რომის ქალაქის თავა და 10 ათასი ლირა გადავდოთ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

პარაკლისის შემდეგ გახსნეს შეერთებული ბანკი, რომელშიაც შევიდნენ მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო, სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო და ორლოვის კომერციული ბანკები.

**ოდესა**. სამოსამართლო პალატამ მოსპო საქმე პროფესორ უჩეპკინისა, რომელსაც ბრალდებოდა მონაწილეობის მიღება სტუდენტთა ცენტრალურ ორგანოში 1905 წელს.

**კოვნა**. ნოტარიუს გრიგოროვიჩის კანტორაში შევარდა ექვსი კაცი ბრაუნინგებით და გაიტაცეს 3,000 მან. წასვლისას მათ დააგდეს კარებთან ბომბა, რომელიც გრიგოროვიჩმა აიღო და ესროლა უკანიდან ბოროტ-განზრახველებს. ბომბა გასქდა, მაგრამ არავინ დაშავდა. რამდენიმე საეჭვო კაცი დაატუსაღეს. ორნი იცნეს.

**ვარშავა**. ღამით დაიჭირეს ორი ყმაწვილი კაცი. 500 მანეთზე მეტი უპოვეს.

## ორიოდე სიტყვა ჩვენს მეურნეობაზე

ბუნებით მდიდარი საქართველო განთქმულია თავის სიღარიბით. საოცარი სიღარიბე მეფობს ჩვენში. თან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ხალხი შრომის მოყვარე და ნიჭიერია. რომ ჰყავდეს ხეირიანი ხელმძღვანელები და ჰქონდეს მაგალითი რას არ შეითვისებდა! ჩვენი ქვეყნისთანა ა-გილები სხვაგან გაშენებულ ბაღებათ და ვენახებად არის გადაქცეული. აიღეთ მთელი სამხრეთი საფრანგეთი, ჟირონდა, ბურგუნდია, ტიროლი, რეინის ნაპირები, რას ნახავს კაცის თვალი უკეთესს! აშენებული ქვეყნებია. ყველაფერი რიგიანათ არის დამუშავებული, სამაგალითოდ, სასარგებლოდ. არის თვალ უწვდენი ვენახები, ხეხილის ბაღები, თუთის ხის დობილოები, აუარებელი ბოსტანი და სხვა. ნახავთ სადმე მომცდარ მიწას?

ვერა. როცა ამ ქვეყნებს ათვალიერებ, ძალა უნებურად აღფრთოვანებას ეძლევი კაცის ნაშრომის წინაშე. ან აიღეთ იტალიის ტიროლი! თუთის დობილოები, ვენახები, ფორთოხლისა და ლიმონის ტყეები, ხეხილის ბაღები ერთი-ერთმანეთს მისდევს. რა სიყვარულით, რა ცოდნითაა ყველაფერი დამუშავებული! ჟირონდა და ბურგუნდია,—კლასიკური ქვეყნები ღვინის წარმოების! არა ჰგვანან ჩვენებურ კახელ მემამულეებს, რომელნიც შესდგნენ ერთ წერტილზე და გაიყინნენ. ზემო ხ[illegible]ენებული ქვეყნები მეცნიერების დაკვალად ანვითარებენ ნაწარმოების თვისებას. აქვთ ღვინის საკვლევი სადგურები, განსწავლული ხალხი ბევრი ყავთ და თვითონ მემამულეებიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს სპეციალურ ლიტერატურას და საქვეყნო ბაზარს.

რად გინდათ საფრანგეთი და გერმანია—აიღეთ მახლობელი ქვეყნები, თუ გინდ ბესარაბია, ხერსონის გუბერნია, ნოვოროსიისკის მხარე. ეს კუთხეებიც-კი წინ მიიწევენ. ერობები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეურნეობის განვითარებას. იწვევენ აგრონომებს, აარსებენ სამეურნეო სასწავლებლებს, ხეხილისა და ვაზის სანერგეებს. ხერსონის გუბერნიის სამაზრო ერობებმა კადასწყვიტეს, ყოველ მაზრაში მიიწვიონ ხუთ-ხუთი აგრონომი, ინსტრუქტორი მევენახე და მებაღე! მრავალი მამული გაშენდა სამაგალითო. ნოვოროსიისკის გარშემო სწრაფად შენდება ვენახები საუცხოო ვაზის ჯიშისა. აქაურმა ღვინოებმა უკვე იჩინეს თავი. ღვინის, ყურძნის, ბოსტნის, ხილის წარმოება დაიწყეს უკვე შიდა რუსეთთან დაახლოვებულმა კუთხეებმაც.

ჩვენში ახლაც ბევრსა ჰგონია, რომ მთელ რუსეთში მარტო საქართველოში მოდის კარგი ღვინოო. ბატონებო, ვრჩებით უკან და დროა, გამოვიღოთ ბამბა ყურებიდან. ჩვენს ქვეყანაში, რომ კაცმა რიგიანად მოჰკიდოს ხელი მეურნეობის რომელსამე დარგს, რასაკვირველია ბუნება სამაგალითოდ შეუწყობს ხელს. მაგრამ ვერ იქნა და ვერ ითავეს ჩვენში ვერც კერძო პირებმა, ვერც ამხანაგობებმა, ვერც ქალაქებმა, რომ მიჰყონ ხელი რისამე სამრეწველო წარმოებას და დააყენონ საქმე მტკიცედ, ცოდნით, მეცნიერულად, სამაგალითოდ.

ვთქვათ, ვისმეს სურს გაეცნოს ჩვენებურ მეურნეობას. აბა ვის ვენახებსა და სარდაფებზე მიუთითებთ, ვისა აქვს აბრეშუმის საქმე დაყენებული, ან ვისი ბოსტნებია შესანიშნავი, სად არის სამაგალითო ხეხილის ბაღი? მე მოგახსენებთ სამაგალითო, თანამედროვე მეცნიერების დაკვალად დაყენებულ საქმეზე. მთელ საქართველოს არ უნდა ჰქონდეს ერთი რიგიანი სამეურნეო სასწავლებელი მაინც? არ უნდა გვქონდეს ერთი კვირეული სამეურნეო ორგანო? ეს უკანასკნელი მაინც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის. კულტურულ გზას დავადექით და საქართველომ აუცილებლად უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ინტენსიურ მეურნეობასაც. სამეურნეო ორგანოს საშუალებით და საერთო მოქმედებით გავიკლევთ გზას.

მეურნეებო, ხმა ამოიღეთ!

კ. ბერეკაშვილი.

## „მზე აღმოსავლეთიდან ამოდის"

ამ სათაურით გაზეთ „რუსკოე ვედ."-ში მოთავსებულია წერილი გორბუნოვ-პოსადოვისა. წერილი შეეხება იმ შუამდგომლობას, რომელიც აღძრა კნ. ოლგა თადეოზის ასულმა ჭავჭავაძისამ ილიას მკვლელთა სასჯელის შემსუბუქებაზე. მოგვყავს ეს წერილი:

„სატახტო ქალაქის განაპირა უბანში, თოვლით შებურულ სახურავების ქვეშ, ჩემი სარკმელის წინ აენთო ბრწყინვალე ვარსკვლავი, და ახლოვდება [illegible] ბენ ხალხმ[illegible] „ის" [illegible] 1908 წლის წინად.

„იგალობებენ ღამე პარაკლისის საგალობელს იმის დაბადების შესახებ და რამდენიმე მილიონი კაცი და ქალი, სახე-გაბრწყინვებული, იდგება გაჩირაღდნებულ ეკკლესიაში...

„ის კაცთ-მოძულე გაზეთებიც, რომელთაც ღმერთად ოქრო და ტლანქი ძალა აქვთ დასახული, ეს გაზეთებიც კი ხვალ „იმაზე" ილაპარაკებენ და დიდის ასოებით დასწერენ: „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოებაო"... მაგრამ მყისვე ხელახლა შეუდგებიან თავიანთ საშინელ საქმეს: ამხედრებას ძმისა-ძმაზე, ერთი ხალხისა მეორეზე, ერთი მოდგმისა მეორეზე და ქვეყანა ისევ აღივსება ძალმომრეობით, სიძულვილითა და სიკალბით, ხელახლა მოიმართება იარაღი სიკვდილით დასჯისა და ერთხელ კიდევ გაიზმორებიან სულთმობრძავნი, თავიანთ ძმების მიერვე განგმირულნი.

„და თუ ეს ასეა, მაშ განა ამ ლამეს მთელი მსოფლიო თავის თავს არ ატყუებს? და განა ნამდვილად დაბადებულა „ის" როდისმე, გაუვლია ამ ძმათა სისხლით მორწყულ დედამიწაზე და განა უცხოვრია „მას" ამ საშინელ ქვეყნად თავის უკვდავ ქადაგებით საუკუნო სიყვარულზე?

„სადაა" „მისი" კვალი ამ სიძულვილისა და შეუბრალებელ მტარვალობის სამეფოში? სადაა „მისი" კვალი ამ სისხლის ოხშივარით შებურვილ ცხოვრებაში, რომლიდანაც გამოისმის შურისძიების მუქარა გამარჯვებულთა და მილეული კვნესა დამარცხებულთა? ნება უნებურად სასოწარკვეთილებას ეძლევი კაცობრიობის მომავალზე!

„მაგრამ იქ, ათასი ვერსის იქით, კავკასიაში, რომელიც საუკუნოებით ერთ კანონს აღიარებდა, კანონს სისხლის აღებისას, იმას, რომელიც ამბობს—„თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ", რომლის წინააღმდეგაც ჰქადაგებდა ქრისტე და რომელიც დღეს ქრისტეს მცნებათა ფეხით გამთელველს ცხოვრების წყობილებაში უმაღლეს

## ფელეტონი

### ჩიგლიურ პანზე

(ფარისევლები)

გაზაფხულის დილა იყო. ქალაქ იერუსალიმის ერთი ქუჩის მოსახვევში ვიღაც მაღალ მაღალი, ძვირფას და გრძელ ტანისამოსში გამოწყობილი და დოლბენდით თავ-შეხვეული კაცი დინჯად მიდიოდა. ქუჩის ბოლოს რამდენიმე კაცი გამოჩნდა, ეტყობოდათ, უბრალო მოქალაქენი იყვნენ და სადმე სამუშაოდ მიეჩქარებოდნენ. მათ დანახვაზე გრძელ ტანისამოსიანი შეჩერდა. ერთი ხმა მაღლა ამოიოხრა, ხელები ზე აღაპყრო და ხმა მაღლა წამოიძახა:

— უფალო ღმერთო ჩემო! შემიწყალე, მე მონა შენი. მადლობა უნდა შეგწირო, რომ სხვა ვიგინდარასავით არ გამაჩინე და განსაკუთრებულ კარგ პირობაში ჩააყენე ჩემი ცხოვრება. არა ვარ მტაცებელი, არა ვარ ქურდი, არა ვარ ავაზაკი. არც მთამომავალი ვარ ულირს-ცოდვილებისა, პირდაპირ შენი საყვარელ და რჩეულ აბრაამის შვილი ვარ.

მგზავრების მოახლოვებაზე გრძელ ტანისამოსიანმა კიდევ უფრო აუმაღლა ხმას, ცალი თვალი კი მათკენ ჰქონდა, აბა მიყურებენ თუ არაო. ამ დროს ვიღაც კოჭლმა მათხოვარმაც გამოიარა. ხელებ აპყრობილმა საჩქაროდ ხელები ძირს დაუშვა, ზემო ტანისამოსს მარჯვედ გადასწია, ჯიბეში იკრა ხელი, ნახევარ დრაკნიანი ფული ამოიღო და გლახაკს შესთავაზა. თან ალმაცერად ახლო მიმავალ მგზავრებს გადაჰხედა, შეამჩნიეს თუ არაო.

ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა რიცხვმა იმატა. ზოგს სავაჭრო რამ მიჰქონდა, ზოგი დატვირთულ სახედარს ერეკებოდა, ზოგი სამგზავროდ მიეშურებოდა.

— ვმარხულობ ორ გზის შაბათსა შინა, გააგრძელა მლოცველმა: ყოველ დილით ეკკლესიაში ლოცვას მთელი საათი ვუნდები ხოლმე. აი, ეხლაც იქიდან მოვდივარ, მაგრამ შენმა სიყვარულმა არ მომასვენა, რომ აქაც არ შეგასხა ერთი ორი ქებადიდება. მას შემდეგ, რაც მღვდელი გავხდი, შენი წმიდა ტაძრიდან შემოსავალი დიახ კარგა ბლომად მაქვს, მაგრამ კეთილ საქმესაც არ ვივიწყებ: ათის თავი შემოსავლიდან გლახაკებისთვის მაქვს გადადებული...

— ოხ, შენა, ღირსო რაბბი იერემია!—მოისმა უცბად მლოცველს:—გიხაროდენ, წყალობა უფლისა შენზედა! მეც ახლა მივდივარ სალოცავად.

ახლად მოსულიც ისევე იყო გამოწყობილი. ერთმანეთს გადაჰკოცნეს.

— რაბუნს აბიას, ჩემს მოძღვარს და გულითად მეგობარს! რა გამიხარდა შენი ნახვა! აღტაცებით ამბობდა ამას წინად მაღლა ხელებ აპყრობილი.

— რას მეტყვი ახალს, პატივ-ცემულო რაბუნო?—ჰკითხა იერემიამ აბიას.

— ეეხ, მამაო, რა უნდა გითხრა, ყოველ დღეს სულ ახალ-ახალი სამწუხარო ამბავი მოაქვს. პონტოელი პილატე ხომ თავზე დაგვისვეს, ის არ გვეყოფოდა, რომ ვიღაც ახალი ჭირიც გაგვიჩენია იორდანის უდაბნოში! ვიღაც მქადაგებელი!

— შენი ჭირიმე, მოძღვარო, რას მეუბნები?!

— შენს მადლს ვფიცავ! განა არ გაგიგონია? მთელი გაღმა მხარე იმასთან მიდის თურმე მოძღვრების მოსასმენად...

— ვინ არის, რა კაცია... ღმერთო!

— სავალალოც ისაა, რაბუნო, რომ რაბუნის შვილიაო, ამბობენ, იოანე, ზაქარიას შვილიო, მოგახსენებენ.

— მერე, რა ღმერთი გასწყრომია: რაბუნობას და ტკბილ-ცხოვრებას თავი დაანება და უდაბნოში შიმშილ-წყურვილს მისცა თავი? გადარეულა საწყალი...

— ასეა ჩემო იერემია, ჩვენივე შვილები აფუჭებენ ჩვენს საქმეს, აბა, როგორ მოველოდი. რომ რაბუნის შვილი ასე გაგიჟდებოდა! ქადაგებს და ქადაგებს თურმე. ყველაზე მომეტებულად კი რაბუნების წინააღმდეგ არის თურმე ამხედრებული. მათ გარყვნეს, გაათახსირეს მოშეს სჯული, ამბობს თურმე. კისერიც მოუტეხია, აპარტალოს ენა, რამდენიც მოესურვება, მაგრამ ვაგლახი ისაა, რომ თანამოაზრე ბევრი ჰყავს თურმე. ამას წინად დღესასწაულზე, ტაძარში რომ მორიგე ვიყავ, გაღმა მხარიდან მხოლოდ ორმოცი ცხვარი მოვიდა, როცა წინად ხუთას-ექვსასი მოდიოდა. ტაძრის წმინდა კედლებს გეფიცები, მხოლოდ ორი ტყავი შემხვდა!

— ღმერთო მომკალი! რა ზარალი მოგსვლია, ამით რა უნდა გახდე?—ყალბის თანაგრძნობით მიუგო იერემიამ:—ზეგ მე ვარ მორიგედ და ვაი თუ მეც მშრალზე დავრჩე...

— ღმერთმან გაშოროს, ღირსო რაბუნო!—მიუგო აბიამ:—იცი, რა გითხრა, პატიოსანო მოძღვარო: სინედრიონის პირველსავე სხდომაზე შეკითხვა უნდა შევიტანოთ, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას. ვის უდაბნო, სადაური უდაბნო! ვინ იოანნე, ვინ ზაქარია?! ქადაგება თუ უნდოდა, მაგ არამზადას, რას დაწრწის უდაბნოში? ის რომ ჭეშმარიტი მღვდლის შვილი ყოფილიყო, აქ იქადაგებდა, მარმარილოს სტოვაზე. აი ძვირფასი სამღვდელო შესამოსელი, აი კაი ვერცხლის საცეცხლური, აი მსუქანი მსხვერპლი — უკმეე და უკმიე სასოებით, ხორო შემოსძახებს ფსალმუნს აღფრთოვანებით, შენც ბანი მიეც, ამას რა სჯობიან! მერე მოშეს და წინასწარმეტყველთა ნაწერიდან რამე წაიკითხე. ამას რომელი ქადაგება სჯობია! შემდეგ მსხვერპლის ხორცს ტკბილად შეექეცი. სულსაც ასიამოვნე და ხორცსაც. ის კი გადარეული, ტანთ, ფეხთ იხდის და უდაბნოში მიდის. კაცო, საჯაროდ ამბობს თურმე, ფარისევლებმა მოშეს სჯული გარყვნესო. ტაძარი პირმოთნეობის ბუდედ გახადესო.

— ნუ მეუბნები, შენი ჭირიმე, პატიოსანო რაბუნო!—გააწყვეტინა იერემიამ.—თანახმა ვარ შენი. უსათუოდ პირველსავე სხდომაზე შეკითხვა უნდა შევიტანოთ. ჩემის აზრით, სჯა-ბაასში გაწვრთნილ-დახელოვნებული, ენა მოქარგული რაბუნები უნდა ავირჩიოთ და იორდანის უდაბნოში გავგზავნოთ, რომ იქვე, იმ გონება აბნეულ ფეხის ხმის ამყოლ ხალხთან შევარცხვინოთ ახალი მქადაგებელი.

— ხალხსაც ნათლავს თურმე ღირსო მამაო. ცოდვათა მიტევებას ჰპირდება. ღმერთო, სული ამომხადე! განა ცოდვათა მიტევება, ფეხშიშველ და კუჭ-მშიერ კაცს შეუძლია? ძვირფასი შემკული ნაკურთხი ტანსაცმელი რომ არა აქვს? საცეცხლური რომ არა აქვს, უმსხვერპლოდ, უსაკმევლოდ, ცოდვის მიტევება განა შეიძლება?!

— ეხ, რაბუნო, ამას თუ წამალი არ დავადევით, ეგვნიანი შესამოსელი კი არა, მგონი ფერხით ხიმლიც გაგვეხადოს,—შენიშნა იერემიამ.

მღვდლებმა ერთმანეთი გადაჰკოცნეს და განშორდნენ.

— ეს კი ძლიერ სასიამოვნოა,—ბუტბუტებდა გზა-გზა იერემია:—რაბუნს აბიას მარტო ორი ტყავი შეჰხვედრია. ღმერთო, შენით, ერთსაც ნუ შეახვედრებ. ხვდება, კანში რომ არ ეტეოდა. ან რა საზიზღარი სუნი ამოსდის პირიდან. ქონის ჰარბად ჭამა რომ უყვარს, იმიტომ მოსდის ალბათ, ფუ, ჭირივით მძულს!

— ღმერთო, შენ ისმინე ჩემი ლოცვა! მყრალ რაბუნს იერემიას ორ ტყავსაც ნუ შეახვედრებ. ვიცი, რომ ესიამოვნება ჩემი ზარალი. თუ იმის მორიგეობიდან ხელ ცარიელს შინ გააბრუნებ, ერთ ცხვარს შენ შემოგწირავ!—აღთქმას სდებდა რაბუნი აბიაც და საყდრისკენ სალოცავად მიეჩქარებოდა.

უიარაღო.

## სამი აყვავება

კ. ბალმონტისა.

(თავისუფალი თარგმანი)

დრამა

მეორე სურათი*)

მომქმედნი პირნი:

**ელენე.**

**შეყვარებული.**

**ცხოვრების მოჩვენება.**

**გუნდი შვიდ-ქალწულთა:**

1. ქალი—ვარდი.
2. ქალი—ყაყაჩო.
3. ქალი—მიხაკი.
4. ქალი—ზამბახი.
5. ქალი—ლალი.
6. ქალი—მარჯანი.
7. ქალი—მტირალ-ბალახა.

მარცხნით დარბაზი. შუაგულში ბაღის კედლი. მარჯვნით ხეხილები. ირგვლივ მრავალი ყვავილია. საღამოა. მზე აზლად ჩადის. ცა ვარდის ფრად იღებება.

**ელენე** და **შეყვარებული** გამოდიან ბუჩქებიდან, კორდს გაივლიან და მძიმედ დარბაზს უახლოვდებიან.

**შეყვარებული.** მიყვარხარ, მიყვარხარ, ელენე!

**ელენე**. რად მეუბნები სიყვარულის სიტყვებს—თითქოს მუქარას მასმენდე!

**შეყვარებული.** ხომ იცი, მიყვარხარ!

**ელენე**. ეგ გითქვამს და კვლავ იმეორებ, მაგრამ ალერსს კი ვერა ვხედავ შენს სიტყვებში. შენ მხოლოდ მემდურები.

**შეყვარებული.** ოჰ, ელენე, ნუ მტანჯავ! ველი შენის გულის გადაშლას.

**ელენე**. განა ყველაფერი სიტყვებში უნდა გამოიხატებოდეს? მე ხომ შენთანა ვარ!

**შეყვარებული.** მშვენიერო, ძვირფასო, სწორედ მაგიტომ გემადლება სული. ვთრთი ბედნიერებისაგან, როდესაც გიმზერ; მაგრამ ვკრთი აგრეთვე ტკივილებისაგან. თუმცა ჩემთანა ხარ, მაგრამ ხელიდან მისხლტები და სხვაგან მიჰფრინავ.

**ელენე**. არ შემიძლიან გადავსხვაფერდე. როგორიც წინად ვიყავ, დღესაც ისეთი უნდა ვიყო. შენ კარგად იცი, რომ მარად ერთი და იგივე ვარ. ისიც იცი, რომ შენთან ცოცხალ ვარ და ვმხიარულობ.

**შეყვარებული**. როცა კი შენთან მოვდივარ სანახავად, თავს ღმერთადა ვგრძნობ, რომელიც სამყაროს განაგებს. და როცა გშორდები, ასე მგონია, თითქოს გლახა ვიყო და განუსაზღვრელ არარაობაში ვარდებოდე. შენ გიყვარვარ და არც გიყვარვარ. შენ მე მეკუთვნი და

*) იხ. „დროება", N 2.

კანონადაა ქცეული. ვიმეორებთ კავკასიაში, სადაც სისხლის არ ამღები, შურის არ მაძიებელი და სიყვარულის მაღვიარებელი საზიზღრად იყო მიჩნეული,—ვხედავ სოლცარის შუქით გაბრწყინვალებულ ქალის სახეს... ამ ქალს ვერაგად მოუკლეს ქმარი, მშვენიერი აღმიანი და ერთი საუკეთესო შვილი იმის ხალხისა; მოუკლეს ერთი უძვირფასესი არსება, წართვეს მასთან ერთად სიცოცხლის ბედნიერება, და აი ეს ქალი არა თუ არა ფიქრობს შურის ძიებაზე, პირიქით, ამ შურისძიებს ღვთის საწინააღმდეგო საქმედ სთვლის.

სთვლის, უნდობს მკვლელებს და ევედრება, შეუნდონ იმათაც, რომელთაც სურთ სასტიკად დასაჯონ მკვლელნი.

აი რას გვატყობინებენ კავკასიის გაზეთებით (მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა, რომელიც უკვე გვქონდა დაბეჭდილი).

შემდეგ ავტორი განაგრძობს:

„კურთხეულ იყოს იმ ქალის სახელი, რომელმაც ეს სტრიქონები დასწერა! თუ ქვეყნად არიან ასეთი ადამიანები, სჩანს, არ გამქრალა ბეთლემის ვარსკვლავის შუქი; სჩანს, ქრისტე მართლა დაბადებულა, მართლა უცხოვრია, უქადაგნია, მომკვდარა და უსწავლებია შენდობა ყველასი. მისგან თესილი თესლი ეხლა აილო ჩვენს ქვეყანაზედაც.

„დე, ჯერ კიდევ ცოტანი იყვნენ ისეთი ადამიანები, როგორიც ის ქალია, მაგრამ ასეთი გული, ასეთი საქმე ღვთაებრივ სიყვარულისა გვამაღლებს, მას გამოვყევართ კერპთაყვანისმცემლობის, ბრბაროსობის და ველურობის ბურუსიდან, რომლითაც მოცულნი არიან ადამიანები. კურთხეულ იყოს სახელი კნეინა ჭავჭავაძისა; მან კვლავ ადამიანისადმი სასოება მოგვანიჭა“.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**გრიგოლ დადიანის სახელობის პრემია.** 1910 წელს თავდება ვადა გრიგოლ დადიანის სახელობის პრემიის მიღებისა. პრემიის (400 მანეთის) მიღების მსურველმა უნდა დასწეროს და აღნიშნულ ვადამდე წარუდგინოს წერა-კითხვის საზოგადოებას გამოკვლევა ქართული ენისა და ქართულ მწერლობის შესახებ. დაწვრილებითი პირობები საპრემიო თხზულების შესახებ მსურველს შეუძლიან გაიგოს წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში.

**ქ-ნ ვან-ბრანტის გასტროლები.** ხვალ, 7 იანვარს, სახაზინო თეატრში იწყება გასტროლი ლონდონის სამეფო თეატრის პრიმადონის ცნობილ მომღერალ ქალის ქ-ნ ვან-ბრანდტისა. მომღერალი ამ საღამოს გამოვა თავის საუკეთესო როლში, „ლაკმეში“. აქ ჩამოსვლამდე ქ-ნი ვანდ-ბრანდტი მღეროდა პალერმოში, ლიონში და პარიზში. ამერიკაშიაც იწვევდნენ, მაგრამ იგი ჯერ-ჯერობით აქ წამოვიდა. ტფილისში რამდენჯერმე მღეროდა ქ-ნი ვანდ-ბრანდტი და აქაურ საზოგადოებას ყოველთვის ძალიან მოსწონდა.

**უარი რკინის გზის გაყვანაზე.** „კასპი“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: „კავკასიის ნამესტნიკმა ამას წინად ხელმწიფის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერ კავკასიაში გაყვანილ იქმნას რკინის გზა, ამასთან იმ ხეობით, რომელიც ოსების აულებს ეკუთვნის. „გოლ მოსკ.“ სიტყვით, ნამესტნიკს უარი მიუღია ამაზე. მოტივი უარისა ისა ყოფილა, რომ რკინის გზები გაჰყავთ არა კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, არამედ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესების მიხედვითაო“.

**თავდასხმა ერევანში.** ერევნიდან გვატყობინებენ: 3 იანვარს, საღამო ჟამს რამდენიმე შეიარაღებული კაცი შევარდა გირშბერგის ბამბის კანტორაში, სადაც ამ დროს, გარდა მოსამსახურეებისა, კარგა ბლომა ხალხი იყო. დაიძახეს „ხელები მაღლა“-ო და შეუდგნენ ცარცვას. წართვეს ხუთი ათას მანეთამდე და მიიმალნენ. პოლიცია გამოეკიდა, ერთი მძარცველი დაატუსაღა, მაგრამ რევოლვერის მეტი არაფერი არ აღმოაჩნდა. დაპატიმრებული გამოტყდა.

**ტანის წერილი.** წარსული წლის „რუსკოე ბოგატსტვოს“ მე-11 ნომერში დასტამბულია წერილი ბ-ნ (ა)ნისა „პერედვინუტია დუბი“, რომელშიაც დაწვრილებით არის აწერილი ბ-ნ კარგარეთლის მოკვლის განზრახვის ამბავი და მისი მიზეზები.

**სამკურნალო საზოგადოება.** ხვალ, 7 იანვარს, კრება სამკურნალო საზოგადოებისა. სხვათა შორის მოხსენებებს წაიკითხავენ ექიმები ა. კლებანსკი, ვ. ბოჟოვსკი, მ. ელჩიევი, ბ. ბლოცეკი და დ. ა. კირშენბლატი

**ცნობების მოწოდება.** პეტერბურგში არსებობს სამეურნეო საქმეთა საბჭო. ამ საბჭოს ცირკულიარული მოწერილობანი დაუგზავნია რუსეთის ქალაქის თავებისა, ერობის უფროსებისა და სხვათათვის და უცნობებია, რომ საბჭოსთან დაარსდა განსაკუთრებული განყოფილება, რომელიც ადგილობრივ დაწესებულებებს მიაწოდებს ცნობებს ყველა იმ საქმის და შუამდგომლობის შესახებ, რომელიც წარდგენილია და წარმოებაშია მთავრობის უმაღლეს დაწესებულებებში: სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოში, სამინისტროებში და სხვაგან. როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის თვითმართველობებს მთელი წლობით მიწერ-მოწერა აქვთ ამა თუ იმ შუამდგომლობისა ან საკითხის შესახებ. ასეთ საქმეების გამგეობას ეხლა ხსენებული განყოფილება კისრულობს. სხვათა შორის ეს მოწერილობა ტფილისის ქალაქის თავსაც მოუვიდა.

**შემნახველ - გამსესხებელი კასსა.** კვირას, 4 იანვარს, მოხდა კრება ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის მოხელე-მოსამსახურეებისა. კრებამ განიხილა მთავრობის მიერ ახლად დამტკიცებული წესდება შემნახველ გამსესხებელ კასისა და აირჩია კასის გამგეობის წევრნი და სარევიზიო კამისია. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ ნ. გ. სტეფანოვი ტ. გ. ხარაზოვი, გ. ზ. ქურდიანი, ტ. გ. ერმიშევი, ხოლო სარევიზიო კამისიის წევრებად ალ. ი. ხატისოვი, ა. გ. ხარაზოვი და ვ. ი. ლანგე.

**განთავისუფლება.** თერგის ოლქში გაუნთავისუფლებიათ მემცხვარე კოშელი, რომელიც ორ თვეზე მეტია, რაც ყაჩაღებმა გაიტაცეს (ვ. ს.)

**„დროების“ მეორე ნომერში** დაბეჭდილი იყო, რომ 1 იანვარს პეტრე-პავლეს სასაფლაოს მახლობლად ვიღაცამ სასიკვდილოდ დასჭრა მიხეილ ასლამაზოვიო. ეხლა მედუქნე მიხეილ სტეფანეს ძე ასლამაზოვი გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ ეს ამბავი ვიღაც სხვა მიხეილ ასლამაზოვს შემთხვევია და არა მას.

**პანასევიჩის** ქუჩაზე 4 იანვარს საღამოს 9 საათზედ რამდენიმე შეიარაღებული კაცი შევარდნია მეფურნე პეტრიაშვილებს და მუქარით ფული მოუთხოვიათ. პეტრიაშვილებს ხმაურობა აუტეხნიათ და ყაჩაღები მიმალულან. პოლიციამ ამ საქმის გამო დააპატიმრა ნერსეს ალექსანიანცი და გიორგი გელაშვილი.

**4 იანვარს** მიხეილის ქუჩაზე ვიღაცეებმა ელექტრონის ვაგონს ჩაუგდეს პეტარდა. ხალხი შეშინდა, მაგრამ არავინ არ დაშავებულა.

● 2 იანვარს პოლიციამ დააპატიმრა ტფილისში ნაქარი ივ. ხუზანაჯიანცისა მელიქოვი, რომელსაც ფოსტიდან ხუზანაჯიანცის 237 მან. 70 კაპ. მიუღია ფული მიუთვისებია და მიმალულა.

● 4 იანვარს, საღამოს 11 საათზედ, ნაძალადევში, შინ დაბრუნების დროს, ივანე უნამცილო, მთვრალი, 5 საჟენის სიმაღლიდან ხევში გადავარდნილა და ისე დაშავებულა, რომ ცოტას ხანს შემდეგ გარდაცვლილა.

● გოლოვინის პროსპექტზე სასტუმრო „ნივაში“ ცირკში მთამაშე როლდ პოსპელილისთვის ქურდს ნივთებით სავსე ჩემოდანი მოუპარავს. ეჭვით დააპატიმრეს ლეჩხუმის მაზრის მცხოვრები ვიქტორ კარსელაძე.

● 3 იანვარს პოლიციამ დააპატიმრა ნიკოლოზ მაღრაძე, რომელიც გადასახლებული ყოფილა ქ. გუმბრში, მაგრამ გამოქცეულა.

## ქ უ თ ა ი ს ი

**საბავშვო დღესასწაული.** როგორც მოხსენებული იყო ადგილობრივ გაზეთებში, ქუთაისის ყველა უწყების პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლებმა 21 დეკემბრისათვის განიზრახეს აკაკის საიუბილეო დღესასწაულის გამართვა სალიტერატურო-სამუსიკო დილით მოსწავლეთათვის მშობლების თანადასწრებით. ამის გამო ისინი ორი თვით ადრე შეუდგნენ მოსწავლეების მომზადებას და ყოველგვარ სამზადისს ამის შესახებ, თუმცა ნებართვა არ იყო აღებული. დილა უნდა გამართულიყო ქალაქის თეატრში, სადაც მოიყრიდა თავს 800-მდე მოსწავლე და მათი მშობლები. ნებართვის ასაღებად კომისიამ მიმართა ოთხი-ხუთი დღით ადრე, როგორც საერო სკოლათა დირექტორს, ისე ქალაქის თავს, რომელთაც თავიანთ მხრით შუამდგომლობა გაჰგზავნეს ტფილისში ოლქის მზრუნველთან, რათა ნება დაერთო ქალაქის თეატრში დილის გამართვისა, მაგრამ მზრუნველმა, ცირკულიარული დადგენილების ძალით, ვერა სცნო კანონიერად დილის გამართვა თეატრში, როგორც საზოგადო დაწესებულების სადგომში, რის გამო უარი შემოუთვალა, როგორც დირექტორს, ისე ქალაქის თავს. მოსწავლეებს 22 დეკემბერს დაურიგდათ აკაკის წიგნაკები და გულდაწყვეტილნი წავიდნენ თავთავიანთ სახლში.

30 დეკემბერს მასწავლებლებმა მოახერხეს საზოგადო საკრებულოს დარბაზში შობის ხის დღესასწაულის გამართვა და გულდაწყვეტილი ბავშვების ოდნავ გამხიარულება. დღესასწაული გაიმართა ქალაქის ოთხი სკოლის მოსწავლეთათვის, თუმცა, რადგან მოსწავლეები გაშვებულნი იყვნენ, ბევრს ასცილდა ეს მხიარულებაც. ერთი სკოლის მოსწავლეები კი სულ არ დასწრებიან დღესასწაულს, რადგან ამ სკოლის მასწავლებელნი სოფლებში იყვნენ უკვე წასულნი და მოსწავლეების შეგროვება შეუძლებელი გახდა. მიუხედავად ასეთ მიზეზებისა, ორივე სქესის მოსწავლე მოგროვდა 400-მდე. დღესასწაული დაიწყო დღის 12 საათზე და გაგრძელდა ნაშუადღევის 3 საათამდე. იყო ცეკვა, სიმღერა, თან წაიკითხეს რამდენიმე ლექსი აკაკისა. შემდეგ მასწავლებლებმა დაურიგეს მოსწავლეებს ტკბილეულობა და ხილი. საზოგადოდ დღესასწაულმა ჩინებულად ჩაიარა.

# ხალხური ლექსი

(ჩაწერილი ჭყუპიანთ კარში (გორის მაზრა) ი. გ. კარგარეთლის მიერ)

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებს გამოვეძრახე,
მთვარეს კაცი მოეგზავნა:
აქ იყავ და არა მნახე.

—

შუქურს მაყრიდა ცისკარი,
უცხო სავალი რამ ვნახე:
ფეხ ქვეშ მიგებდა სპეტაკ სხივს,
მიწვევდა—გავლით მეც მნახე.

—

დასავლეთ, ცის კიდით კიდეს
მარიხი ბრწყინვალე ვნახე,
თვალს საცყორცნილად იტაცდა,
გულს დაედვა, ვითა მახე.

—

ზე აღემართა ალიონს—
შვიდ ძმათ, შეტკბილებულ ვნახე,
ნაზ ლაჟვარდ მოციმციმეთა,
ხმით იდუმალით მომძახეთ.

—

ოცნების ფრთით სანატრელი
ზუალი მწყრალი მოვნახე,
შუქ მიბნედილი თვალ-დახრით
იტყოდა, თუ კვლავაც მნახე.

—

აღმოსავლეთით ნავალმა
დასავლეთს ოტარიდ ვნახე,
ცრემლისა ლული თვალს ედვა,
გულს ჰხვდა კუშტი, ვივაგლახე.

—

მზისაკენ ვიდი სასალმოთ,
მანძილი რამე დავლახე,
ებურა ოქროს ქალაღ,
სურვილით მთვრალი ვერ ვნახე.

—

ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე,
ვარსკვლავებს გამოვეძრახე,
მთვარეს კაცი მოეგზავნა—
აქ იყავ და არა მნახე.

# ქართული საბავშვო წარმოდგენა

უნდა მართალი გითხრათ, თუ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ და მისმა რეჟისორმა ბ-ნმა ყანჩელმა უსაზღვრო სიამოვნება მოგვანიჭა ამ ჩინებულად გამართულ საბავშვო დღესასწაულით, თანაც კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, თუ რა გახრწნილებამდის არის მისული ჩვენში ქართული საზოგადოება და ქართველური გრძნობა. ჩვენი „განათლებული“ და „შეძლებული“ საზოგადოება სწორედ parvenu-ს წარმოადგენს სნობისმით გატენილ უმსგავსო არსებას, რომელიც სრულიად ბრმა შემთხვევის წყალობით საზოგადოების ეგრედ წოდებულ მაღალ საფესურზედ აცოცებულა და [illegible]. მას არ [illegible] თუ [illegible] ნებას [illegible] იმ დედაკაცს მიაგავს, რომელიც დარიბისა და მდაბიო წრიდან მდიდარსა და არისტოკრატიულ ოჯახში ჩავარდნილა, დიდკაცის წაბაძვით სცდილობს შეიგნოს ახალი გარემოება და უოველდღე, რაც მის ძველ მდგომარეობას აგონებს, სულელური ზიზღითა და ბინძურის მედიდურებით შესცქერის.

ჩვენის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ვითომ და კულტურის წრის ადგილი უკავია, არავითარი გაგებაც არა აქვს, არც კულტურისა და არც ცივილიზაციისა. მისი გონება და სული ბრმა წამბაძველობის უპატრონო მონაა, რომელსაც თავისი პირადობის ნატამალიც არა აქვს და მარტო „იარლიკებით“ სცოცხლობს და მოძრაობს მისი გემოვნება, მისი სტილი უოველ სფეროში და უოველ მოვლენაში მარტო „იარლიკით“ განისაზღვრება. უშნოდ გაკეთებული მსხლის წვენი რომ მიუტანოთ და ზედ „შუმმისა“ ან „რედერერის“ შამპანიურის იარლიკი გაუკეთოთ, იგი აღტაცებაში მოვა. აყროლებული სპირტი რომ მიუტანოთ და ზედ საუკეთესო სურნელოვან წყლების ფაბრიკის მარკა დააკრათ, მას მეტი არაფერი უნდა—მისი ცნოსვა სრულიად დაკმაყოფილებული იქმნება. ბაზარში ნაყიდსა და მებაყლის დახატულ სურათზე რომ მიქაელ ანჯელო დააწეროთ ან რაფაილი, აღტაცებაში მოვა. „ტარარა ბუმბია“, ან „კამარინსკი“ დაუკრათ და უთხრათ, ეს ვაგნერია ან ბეტჰოვენიო, რასაკვირველია, ორ დამეს არ დაიძინებს—ამისთანა მშვენიერება გავიგონეთ. მოდით და როცა ასეთი Highlite გუავთ—განავითარეთ ჩვენში ხელოვნება და ესტეტიკა.

თვით უსაზიზღრესი ფორმა ამ სნობისმისა, ამ parvenu-ს მანჭიობისა, გამოიხატება იმაში, რომ რასაც ქართული სახელი აქვს, უოველივეს უთუოდ ტუჩს აუბრუნებენ. ქართული გაზეთი—აბა როგორ წაეკითხება მათ „განათლებულს და განვითარებულს“ თვალებს. ქართული თეატრი—აბა როდესაც მათი გრძნობა ესტეტიურის განვითარების საფეხურამდის მისულა, როგორ დააკმაყოფილებს მათ, ქართული ლიტერატურა—აბა მათ, რომელთაც ბაირონი და შექსპირი ზეპირად იციან, ჰომიროსისა და სოფოკლის ლექსებს მწყობრად ზეპირად ჩამოგითვლიან, რასინსა და კორნელს გადააბუღბულებენ, როგორ ეკადრებათ მათ გამშვენიერებულ გემოს „ვეფხვის ტყაოსნის“ წაკითხვა, ან ილიას თხზულებებით ან აკაკის ლექსებით ყურის დატკბობა.

მე კი ამას მოგახსენებთ, რომ თუ გინდათ შეიტყოთ ქართველის გონების სიღუხჭირე, აზრის გარყვნილება და გემოვნების დასახიჩრება, ქართულზე ჩამოაგდეთ ლაპარაკი და თუ ის ამგვარ პრანჭვა-გრეხას დაიწყებს, ფიცს გაძლევთ მან არ იცოდეს არცერთი ერის ცხოვრება და ლიტერატურა იგი იქმნება სრულიად ჭკუითა და გონებით დატაკი, რომლის გონების სალარო „ტიფლისკი ლისტოკის“ ცნობებს არ გადასცილებია. გარწმუნებთ, ამგვარის ქართველის გემოვნება არ გადასცილებია ჩვენის, თვით ცარგის ქართულის წარმოდგენების მოთხოვნილებას, თვით უსაზიზღროები ჩვენის ლექსისა და პროზის, პოეზიისა, მაგრამ ქართულის აუგზარად აგდება, მას კარგის ენის მოქმედებად მიაჩნია და თავისი გონებრივი სიდარიბე ამით უნდა აინაზღაუროს.

აბა აიღეთ, რომელიც გნებავთ ქართველი განათლებული კაცი, რომელსაც რაიმე ნატამალი აქვს განათლებისა, თუ მას რაიმე მცირედი დამოკიდებულება მაინც არა ჰქონდეს ან ჩვენ თეატრთან, ან მწერლობასთან, ან წერა-კითხვის გავრცელებასთან, ან სასწავლებლებთან. აბა გაიხსენეთ, თუ როდისმე პროფესორი პეტრიაშვილი, ან თარხნიშვილი ქართულს ენის, ლიტერატურის, თეატრის შესახებ ტუჩებს აპრუწვიდნენ და თუ უოველთვის სიამოვნებითა და სიყვარულით არ იხსენიებდნენ. აბა თუჯანი აიღეთ: თუ მას ქართული გულია

---

არც მეკუთვნი. ხან სასოწარკვეთილებას ვეძლევი და აღარ ძალმიძს მოთმინება. მიყვარხარ, უღრესად მიყვარხარ!

**ელენე.** არ შემიძლიან ჩემი შემეცნება შევათანხმო სიტყვებს, მაგრამ რადგან შენ უეჭველად გინდა ვსთქვა, რაც გულში მაქვს ჩამარხული, მაშ მომისმინე.

**შეყვარებული.** მითხარ, ჩქარა მითხარ!

**ელენე.** იქმნება შემდეგ დაგნანდეს, ასე რომ ესწრაფები სიტყვებს

**შეყვარებული.** ყოველი შენი სიტყვა ჩემთვის სხივია.

**ელენე.** არის უცხო ყვავილი, რომელსაც „ნისლის სიყვარულს“ ეძახიან...

**შეყვარებული.** მერე?

**ელენე** შენა გგონია, ყველა ყვავილს უყვარს სინათლე? ეს არ იცი. იმ ყვავილს, რომელსაც „ნისლის სიყვარულს“ ეძახიან, ძალიან ეშინიან სინათლისა.

**შეყვარებული.** ის მოკვდება სხივებისაგან?

**ელენე.** მოკვდება!

**შეყვარებული.** რამდენი ყვავილია! არის ვარდი, მიხაკი, ასკილი, ყაყაჩო. ზოგი წითელი ფოთოლი სხივებითა და სისხლით არის გაჟღენთილი...

**ელენე.** სისხლითაც!

**შეყვარებული.** ეგ ცხოვრების ფერია.

**ელენე.** ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომ ცხოვრების ფერი სიკვდილის ფერისაგან ძნელად განირჩევა.

**შეყვარებული.** ელენე, ნუ მტანჯავ! სიტყვებმა მომკლეს.

**ელენე.** სიტყვებს აღარ ვიტყვი. სიტყვებით მოვკალით ჩვენთვის ძვირფასი ყვავილი. გამიგონე: შენ ეხლა წახვალ და როცა მზე ჩაესვენება, დაბრუნდები. მე აქ დაგიცდი. თუ კვალად ვიგრძნობ გულში ნათელ ყვავილების აყვავებას, რომელშიაც შენ ცხოვრების ფერს ხედავ, ბედნიერი იქნები, ვით ღმერთი, ქვეყნის მპყრობელი. მაგრამ თუ გულში ნათელი ფერი არ გადაიშალა, სამუდამოდ დაიღუპები. არ ვიცი, მომწონს თუ არა ალისფერი.

**შეყვარებული.** მაშინ ქვეყნად შესწყდება ვიღაცას სიცოცხლე.

**ელენე.** შეიძლება ორი სიცოცხლე შესწყდეს. რად გვინდა, რომ ვიწინასწარმეტყველოთ. წადი!

**შეყვარებული.** მე კვალად დავბრუნდები.

**ელენე.** აქ დაგიცდი. შენ კვალად დაბრუნდები. (შეყვარებული ეთხოვება და დარბაზისაკენ მიდის). „მე კვალად დავბრუნდებიო. იქნება უფრო მართალი ყოფილიყო გეთქვა: „სამუდამოდ გშორდებიო“. არ იცი, რას გამომასალმე. არ იცი, სად მიხვალ. მაგრამ დღე ღამეს უნდა შეუერთდეს.

(ელენე დარბაზის ტერასაზე მიდის. დაჯდება და გულს გადაჰჭყურებს. ცხოვრების ჩვენება იზრდება და ელენეს ეცხადება. სინათლე მქრქალდება).

**ცხოვრების ჩვენება.** ელენე! (ელენე შეკრთება, მაგრამ სდუმს) ელენე! კვლავ გამოგეცხადე და ვიცი კვლავ ვიღაცას იმსხვერპლი. არა მახვილით ან შხამით, არამედ სიმშვენიერით. მოიგონე, რამდენნი დაიღუპნენ შენის გულისთვის. მომჯადოებელი ხარ. სცხოვრობ ქვეყნად და ქვეყნურს არ ექვემდებარები. გულს შენკენ იზიდავ და ისევ იშორებ. ჟამს შენზედ ძალა არა აქვს. არ იცი შებრალება. უწყალო ხარ, რადგან სასწაულით მარად ნორჩი და ახალგაზრდა რჩები. ახალგაზრდა ქალწულად, გამჭირვალე თვალებით. მე ამას სიბრაზით ვამბობ, ვამბობ გულმოკლული. მინდა შური ვიძიო და დაღუპვა დაღუპითვე გადაგიხადო.

**ელენე.** შენ ისევ გიყვარვარ. შენ ჩვენება ხარ!

**ცხოვრების ჩვენება.** ელენე, მიყვარხარ! ჩემის თავის მკვლელი თვით მე ვარ, რადგან ის მოვისურვე, რის სურვილიც ყოვლად შეუძლებელია. მონა ვარ ვნებათ-ღელვისა. აჩრდილი ვარ! ჩვენება ვარ მაგრამ, მითხარ, შენ ვინა ხარ?

**ელენე.** მე სიცოცხლე და სიკვდილი ვარ. მე ვკლავ, მაგრამ, ხომ იცი, სიცოცხლე ჩემითა სცოცხლობს.

**ცხოვრების ჩვენება.** ვიცი! შენ იყავ მაშინ მშვენიერი და ახალგაზრდა, როდესაც განთიადი ტროიანელების და ბერძნების უგუნურებას ანათებდა. შენ მშვენიერი და ახალგაზრდა იყავ, როდესაც ტახის მიერ გათელილ ადონის სისხლიდან ანემონის ყვავილი გაჩნდა. შენ უცნაურად და გამოურკვევლად უცქერდი, როდესაც რაინდები წარმათებს ებრძოდნენ შენის გულისთვის. შენ ყველგან და ყოველთვის იყავ. შენით სცოცხლობს და ახლდება ცხოვრება. უშენოდ არც იყო და არც იქნება ცხოვრება. შენთვის მნათობენ ვარსკვლავები. მაგრამ რატომ არ შეუძლიათ შემოგიერთდნენ? რად გაურბიხარ, ვისაც უყვარხარ? ერთს კი შეჰხედავ და იქ აღარა ხარ. მოკლე ხანს ატკბობ და შემდეგ მთელი თვეობით და წლეობით სტანჯავ. ჩემს სიტყვებში მარტო ჩემი ხმა კი არ ისმის, არამედ მასში შეერთებულია მრავალ ათასის გოდება. მიყვარხარ, მაგრამ სიყვარული და სიძულვილი ერთი და იგივეა, ერთად არიან შეერთებულნი. მინდა სამუდამოდ მიყვარდე და ბედნიერი ვიყო, ანუ მოგკლა ჩემი სიძულვილით და შურისძიებით. მოგკლავ ელენე!

**ელენე.** შენს ხმაში რომ მთელი სამყაროს კვნესა ისმოდეს, მაინც ვერ შესძლებ ჩემს მოკვლას. რადგან ცხოვრება და ცხოვრების საიდუმლო უკვდავნი არიან.

**ცხოვრების ჩვენება.** შენ მაინც მოკვდები.

**ელენე.** მე ვქრები და ისევ ვიბადები... ჩემი სიკვდილი შეუძლებელია. ჩემში არის ისეთი საიდუმლო, რომელსაც ვერავინ შეეხება. მე ისეთი უნდა ვიყო, როგორიც ყოველთვისა ვარ. აი, ეხლა დარბაზიდან შვიდი ქალწული გამოვა. ყვავილებს ევანებიან და ყვავილებზე დაიწყებენ ლაპარაკს. მე ცქერას დავუწყებ ფერებს და მოვისმენ წყობრ ხმას. იქნება კვლავ შევიყვარო წითელი ფერი, როგორც მიყვარდა სადღაც და როდესღაც. შეიძლება აღარ შევიყვარო და სიცოცხლის ნაცვლად სიკვდილი გამომეცხადოს. ჩარხი უნდა ტრიალებდეს და სხვა და სხვა ფერი ქსოვილი უნდა კეთდებოდეს. დაე, დაზგა ხმაურობდეს და გრძელი ძაფი იგრიხებოდეს. აჩრდილნი ჰკრთიან, მაგრამ მე უკვდავი ვარ! ამ დარბაზს, რომ მოვშორდე, სხვა სარკმელთან ვიჯდები მდუმარედ, სხვა კარებისა და ყვავილების ახლოს.

**ცხოვ. ჩვენება.** ელენე, შენ მოჰკვდები! (ჰქრება)

**ელენე.** რა ერთგვარია ადამიანის გული. მე მსურს ერთხმობა თავისუფალ წკრიალა სიტყვებისა!

ა. შანშიაშვილი.

(შემდეგი იქნება)

და სულით არა ჰყვარებოდეს, განა შეეძლო შეექმნა „დალალი“, რომელიც თანასწორად საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებთა შორის ირიცხება.

აბა, ბატონებო, ქართულის აბუჩად ამგდები მეწვრიმალეა სულითა და გულით, ზიზილ-პიპილებით მორთული, რომელსაც ჰგონია, რომ გემოვნებით ჩაცმა და მორთულება ამ ზიზილ-პიპილების სიმრავლეშია—დროა ეს შევიგნოთ.

ეს აზრები აღმეძრა, როცა შაბათს ჩვენს თეატრში საბავშვო წარმოდგენას დავესწარი. სიხარულით მივდიოდი—ვნახავ ქართველ ბავშვებს მეთქი; სიამოვნებით ველოდი, რა სასიამოვნო წუთებს განვიცდი მეთქი. ან როცა მთელ თეატრს ვნახავ ქართველის ბავშვებით სავსეს, მას, ვისაც ბავშვის კისკისი, მისი ჟივილ-ჟივილი აღტაცებაში არ მოიყვანს ის ლეშია, მძორი და არა კაცი. მივედი და რა ვნახე, მთლად ცარიელი თეატრი. მთელ ლოჟებში ოთხიოდე იყო დაჭერილი სხვა კი ცარიელი იყო. დანარჩენი ჩვენი „განათლებული საზოგადოება“ კი უთუოდ ტუჩებს იბზუებდა და თავის არ ყოფნით ამტკიცებდა თავის ჭკუის სიგლახაკეს და ეგონა კი, რომ უკეთესი კილო მოქმედებისა არც კი შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა: რა ხეირი იქმნებოდა ქართულს თეატრში, რაში დავკარგო ძვირფასი დრო (დროს ხომ ასე აფასებს ჩვენი „განათლებული საზოგადოება“). დროა ასეთი გონების სიღატაკე გამოქვეყნებულ იქმნას და სამარცხვინო ბოძზედ იქმნას გაკრული. ჩვენი ერი ეხლა ისეთს მომენტს განიცდის, რომ ყველაფრის უყურადღებოდ დატოვება, ასეთის ბინძური „სნობისმის“ გულგრილად მოპყრობა დიდად მავნებელია ჩვენის საზოგადოებისა და ერისათვის, რასაკვირველია ბევრია ჩვენში გულდამწვარი იმით, რომ ყოველსავე ჩვენს საქმეს ნაკლულევანება აქვს თავისი და შეძენილი, ნებსითი და უნებლიეთი. მაგრამ განა გულწრფელი ადამიანი, რომელსაც ეს ნაკლულევანება გულს უკლავს, ისე მოიქცევა, როგორც გავერანებული ჩვენი „კულტურული საზოგადოება“. განა მშობელი ყოველს ღონეს არა სცდის შვილს საუკეთესო განათლება მისცეს თუ გინდ იდიოტიც იყოს იგი, განა შვილი ყოველ ღონეს არა სცდის მშობელი სიკვდილს გადაარჩინოს: ასეა ადამიანი, ასეა პირუტყვიც—ჩვენი ვითომ და ამაღლებული და ზე-კაცებად კან შემდგარი „განათლებული ნაწილი“ საზოგადოებისა პირუტყვზედ უფრო დაბლა სდგას თავის ქცევით სამშობლოს, საერო საქმისადმი. მაგრამ, უნდა ხელი შეუწყოთ ჩვენში ისეთის საზოგადო აზრის შექმნას, რომ ეგრეთს „კულაბზიკა“ ვაჟბატონებს ვაგრძნობინოთ და სავსებით შევაგნებინოთ მთელი სიდუხჭირე მათის სულისა და გონებისა, მათის მისწრაფების მთელი სიგლახაკე და სიუბადრუკე.

**კიტა აბაშიძე.**

P. S. რაც შეეხება თვით წარმოდგენას საუცხოო იყო. მეტად მშვენიერად იყო გაწყობილი შობის ხე და დიდი მადლობა კიდევ რეჟისორს და სირცხვილი ჩვენს დაგლახაკებულ და დაჩიავებულ „საზოგადოებას“. **კ. ა.**

## წ.-კითხ. საზოგადოების კრება

4 იანვარს სამეურნეო ბანკის დარბაზში ბ-ნ გ. ნ. ყაზბეკის თავმჯდომარეობით მოხდა საგანგებო კრება ქ. შ. წერა-კითხ. გამავრცელებელ საზოგადოებისა. კრებას დაესწრო 80-მდე წევრი და მრავალი გარეშე. დილის 11 ნახევარ საათზე თავმჯდომარემ გახსნა კრება. პირველად კრებას დასამტკიცებლად წარუდგინა წინა კრების ოქმი. მცირე კამათი გამოიწვია ბ-ნ არ. მამულაიშვილის შენიშვნამ ოქმის შესახებ. მან განაცხადა, ჩემი სიტყვები წიგნების ვაჭრობის შესახებ სწორედ არ არის ოქმში შეტანილი: მე გამოვთქვი პრინციპიალური აზრი, რომ ჩვენი საზოგადოების გამგეობა უნდა სცდილობდეს ისეთ წიგნების გამოცემასა და გავრცელებას, რომელნიც ხელს შეუწყობენ ქართველ ერის კულტურულ ზრდა-განვითარებას-მეთქი. ოქმში კი ჩემი სიტყვაში ისეთი აზრია გატარებული, თითქოს მე პ. აკობიას ბროშურები მქონდეს სახეში. ამ შენიშვნის გამო კამათი იმით დასრულდა, რომ კრებამ, წინააღმდეგ ოთხი კაცისა, ოქმი დაამტკიცა, ხოლო იმათ, რომელნიც სცნობენ, რომ მათი აზრი სწორედ არ არის შეტანილი ოქმში, ნება მიეცათ შეასწორონ და შენიშვნები შეიტანონ ოქმში.

შემდეგ თავმჯდომარემ აცნობა კრებას, რომ, თანახმად ჩვენის წესდებისა განყოფილებათა ინსტრუქციისა, უკვე მოგვივიდა განცხადებანი ბათუმისა, ხონისა, სენაკისა, სამტრედიისა, ქუთაისისა, ზესტაფონისა, ჭიათურისა, თელავისა, კავკავისა და ბაქოს წევრთაგან, რომელთაც გადაუწყვეტიათ განყოფილებათა დაარსება. წესდებით, როგორც მოგეხსენებათ, საჭიროა ამა თუ იმ რაიონში არა-ნაკლებ 30 წევრისა, რომ შეიძლებოდეს განყოფილების დაარსება. აღნიშნულ ადგილებში ყველგან არ არის განყოფილების გახსნისათვის საჭირო კანონიერი რიცხვი წევრებისა. უკვე მოგვივიდა სია ახლად მისაღებ წევრებისა, გაცნობებთ მათ გვარებს და მივიღოთო.

მდივანმა წაიკითხა ახალ წევრების სია. სულ 299 კაცი იყო მსურველი წევრად ჩაწერისა. კრებამ ერთხმად მიიღო წევრები და გამოსთქვა სურვილი საქართველოს ყველა კუთხეში დაარსდეს განყოფილება.

შემდეგ კრებას განსახილველად წარუდგინა პროექტი ინსტრუქციისა საზოგადოების გამგეობის საქმეთა წარმოებისათვის. როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია სექციებად დაყოფა და სექციათა შორის შრომის განაწილება მოქმედების უფრო გასანაყოფიერებლად. გამგეობაში უნდა იყოს სამი სექცია: ადმინისტრატიული, სასკოლო და საისტორიო-საარქეოლოგიო. ყოველ სექციას ინსტრუქციით დაკისრებული აქვს სხვა და სხვა საკითხის მომზადება, შემუშავება და მასალის შეკრება. სექციებს უფლება ეძლევათ ზოგი წვრილმანი საქმე გამგეობის დამოუკიდებლად აღასრულონ, მხოლოდ ანგარიში უნდა წარუდგინონ გამგეობას. საქმეთა წარმოების პასუხის მგებელი, რა თქმა უნდა, წესდებით ისევ გამგეობა იქნება.

პროექტმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბევრის აზრით რედაქციის მხრივ საჭირო იყო შესწორება ინსტრუქციისა. ამისი თანახმა გამგეობის ზოგი წევრიც იყო. ბევრმა ორატორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ შრომის განაწილების წინააღმდეგნი არა ვართ, მხოლოდ უფლების განაწილებაზე ვერ დავთანხმდებითო. სექციებს გადამწყვეტი უფლება არ უნდა ჰქონდეთ. ასე უფლებების განაწილება უკიდურესობამდე მისული დეცენტრალიზმი იქნება, რაც საქმეს არ მოუხდებაო. სექციების უმთავრესად მომზადებულ ორგანოების ხასიათი უნდა ჰქონდეთო და სხვა. ზოგმა ის აზრიც გამოსთქვა, რომ სექციებს ზოგიერთ საკითხში ავტონომიური უფლებები მიეცეთ, რადგან ყოველ წვრილმან საქმისათვის ხშირად შეკრება გამგეობისა შეუძლებელია და საქმე კი ფერხდებაო.

ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა, გამგეობა თანახმაა ხელმეორედ გადაათვალიეროს პროექტი, იხელმძღვანელოს აქ წარმოთქმულ მოსაზრებით და შეავს-შეასწოროს იგიო. შესწორებულ პროექტს გამგეობა ახლო მომავალში წამოუდგენს კრებასაო. წევრებმა წინადადება შეიტანეს გამგეობაში, პროექტი კრებისთვის წარდგენამდე, დაიბეჭდოს გაზეთებში, რომ ადრევე გავიცნოთ და ყოველ მხრივ ავწონ-დავწონოთო.

კრება ნაშუადღევის 2 საათზედ დაიშალა.

## ქართულ რეპერტუარის სიღარიბე და ჩემი პიესები.

(წერილი რედაქციის მიმართ).

ოცი წელიწადი მეტია შეძლებისა და გვარად ვემსახურები ქართულ მწერლობას და ამ ხნის განმავლობაში დამიწერია ბევრი ლექსი, და მოთხრობა, ბევრი საპუბლიცისტიკო და საკრიტიკო წერილი და ბევრი პიესა; დიახ, ბევრი პიესაც...

ქართველ მკითხველს და განსაკუთრებით ქართველ თეატრის მოყვარულს, გაუკვირდება, ალბად, როცა ამას წაიკითხავს, ბევრ პიესაში რატომ ერთი მაინც არ გვინახავს სცენაზეო. მეც მაკვირვებს ეს გარემოება, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

რასაკვირველია, ჩვენი რეპერტუარი რომ მდიდარი იყოს, რომ ბევრი გვქონდეს ორიგინალური, რიგიანი პიესა, აქ გასაკვირველი არაფერი იქნებოდა და ჩემი პიესების წარმოუდგენლობა მათის სისუსტით აიხსნებოდა, მაგრამ დღეს, როცა ერთხელ კიდევ აშკარად აღიარებული იქმნა ქართულ „რეპერტუარის სისუსტე და სიღარიბე“ (იხ. „დროება“ № 34 1908 წ. 30 დეკემბრის), მე პირადათ მხოლოდ იმით ვხსნი ამას, რომ თბილისში არავინ არ არის დაინტერესებული ჩემი პიესების წარმოდგენით. მით უმეტეს მაქვს უფლება ასე ვიფიქრო, რომ ერთხელ სეზონის დაწყების დროს შემთხვევით ტფილისში მოვხვდი და ერთი ჩემი პიესათაგანი კინაღამ წარმოადგინეს კიდევაც: როლები უკვე განაწილებული იყო და მხოლოდ, როცა რეპეტიციებს შეუდგნენ, გამოირკვა, რომ დასში დრამატიულ როლის წარმომდგენი ქალი არავინ იპოვებოდა იმ დროებით, ამიტომ პიესის წარმოდგენა გადადებულ იქმნა ჩემივე თანხმობით, ხოლო შემდეგ ერთხელაც აღარ ვყოფილვარ ტფილისში საიმისო ხანს და აღარც ჩემი პიესების წარმოსადგენად აუტკივებია ვისმე თავი.

ვიმეორებ, მე სრულიადაც არა მგონია ჩემი პიესები შესანიშნავ ნაწარმოებად, მაგრამ ჩვენს სცენაზედ წარმოდგენის ღირსად მაინც მიმაჩნია და ამიტომ ვსთხოვ ახალ თეატრის რეჟისორს, სცადოს, ერთი მათგანი მაინც დასდგას, იქნებ ქართველი საზოგადოებაც იმ აზრისა შეიქმნეს, რომ სხვა ჩვენებურ პიესებს არც ჩემი პიესები ჩამოუვარდებიან. ორი ჩემი პიესა: „სიკვდილი და სიცოცხლე“ და „გაქსუებული“ „მოამბეში“ იყვნენ დაბეჭდილნი (პირველი სცენაზე წარმოსადგენად ნება-დართულია). ერთი დრამატიული პოემა კრებულ „ნიავში“ იბეჭდება და მეორე—აგრეთვე დრამატიული პოემა ამავე კრებულის გამომცემლებს აქვთ.

**დუტუ მეგრელი.**

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

გიგზავნით რა ამასთანავე 23 მანეთს 20 კაპ. დაბა ბორჯომში ღარიბ მუშათა შორის შეკრებილს და გთხოვთ გადასცეთ ვერაგულად მოკლულის ქართველთა სიამაყის და დიდების უკვდავ მგოსნის და მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად და მის სახელობის ფონდის სასარგებლოდ (ეს ფული უნდა გაიყოს ორ თანასწორ ნაწილად და წარეგზავნოს დანიშნულებისამებრ). სია შემომწირველთა:

თოთხმეტ-თოთხმეტი შაური: ალექსი ჩარკვიანი, ერისტო ჩარკვიანი, ფიდო დანელია, ლაზარე ლიჩელი, არხიპო კობახიძე, სინო მუმლაძე, ვანო ლომიაშვილი, გიორგი ქარსიძე, ვანო გიორგაძე, ლუა ასპანიძე, კოლა ასპანიძე, ვანო ლონდარიძე, პავლე ლონდარიძე, თედო ასპანიძე, ანდრია ლონდარიძე, პეტრე ბერიძე, ივანე ლონდარიძე, გიორგი ბეთაროვი, რაჟდენ ჩიფილიშვილი, მიტრო გაბარაშვილი, კოლა კურტანიძე, მიხა ზარიძე, ვანო გიორგაძე, პეტრე იველაშვილი, ბასილა იველაშვილი, თედო ბერიძე, თედო გიორგაძე, ანტონ ხარშილაძე. არქიპო პაქსაშვილი 1 მან. 50 კაპ., ეფრემ პაქსაშვილი 1 მ. 50 კ., იოსებ ზანგურაშვილი 60 კ. სულ 23 მან. 20 კაპ.

ამხანაგების მონდობილებით: **ერისტო ჩარკვიანი, ფიდო დანელია, პავლე ლონდარიძე.**

მაისში მოჭიდავეების მონაწილეობით დაბა ოჩემჩირეში გავმართეთ ჭიდაობა. ყოველ ხარჯს გარდა, დარჩა წმინდა შემოსავალი 44 მ. 20 კ. ამფულიდან 18 მ. 60 კ. გადავეცით ოჩემჩირის ორ-კლასიან ნორმალურ სკოლის ღარიბ მოწაფეების სასარგებლოდ, დანარჩენს ოცდა-ხუთ მანეთს 60 კაპ გ გზ ვნით და გთხოვთ გადასცეთ ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად.

**გ. აბაშიძე.**

## რუსეთი

**სახელმწიფო სესხი.** „გოლ. მოსკვი“ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ ხმები, ვითომ საფრანგეთში რუსეთის სესხის აღების საქმეს ცუდი მიმდინარეობა მიეღოს, ტყუილიაო. პირიქით, ამავე გაზეთის სიტყვით, ახლო მომავალში სესხის საქმე რუსეთისთვის კარგათ გადაწყდება.

**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი.** მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს კოლიუბაკინს დეპუტატობას წაართმევენ. მის მოადგილედ კადეტები გენერალ სუბოტიჩს და ნ. ნ. კუტლერს ასახელებენ. კადეტები შეეცდებიან, რომ სუბოტიჩი გაიყვანონ, რადგან ის სამხედრო წრეებთან დაახლოვებულია და სწორედ ასეთი კაცი სჭირიათ კადეტებს მათისავე სიტყვით.

**„ვეჩეს“ შუამდგომლობა.** როგორც დეპეშებიდან ვიცით, გაზეთი „ვეჩე“ მოსკოვის ადმინისტრაციამ 3,000 მანეთით დააჯარიმა. გაზეთ „ვეჩეს“ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოში შუამდგომლობა აღუძრავს, ფულით დამეხმარეთ, რომ ჯარიმა გადავიხადო, თორემ ჯარიმის გადასახდელად სტამბა უნდა გავყიდოთო. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მთავარ საბჭოს გადაუწყვეტია, ჯერ-ჯერობით სუბსიდიას ნუ მისცემს გაზეთს. მათ უკვე მიუმართავთ სტოლიპინისთვის ჯარიმა აპატიეთ გაზეთსაო. თუ არ აპატიებენ, მაშინ ფულს გადიხდიან.

**სტუდენტები ტოლსტოისთან.** 25 დეკემბერს იასნაია პოლიანაში გაემგზავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა დელეგაცია. დელეგაცია ტოლსტოის სტუდენტთა სახელით მიართმევს ადრესს. ადრესზე ხელი უწერია 7,000 მეტ სტუდენტს. ადრესი შემდეგის სიტყვებით თავდება: „დაე, ახლო მომავალში მოხდეს განთავისუფლებულ კაცობრიობის აღდგომა ნაციონალურ, სარწმუნოებრივ და წოდებრივ საზღვრებს გარეშე; დეე აღარ იყოს მუშა და ბატონი, დეე, საყოველთაო, სახალხო განათლებამ სამუდამოდ მოსპოს სიბნელის ბატონობა“.

**პოლიციის რეფორმა** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შემდგარ კომისიას უკვე დაუსრულებია პოლიციის რეფორმის პროექტი. ამ პროექტით, რუსეთში პოლიცია უნდა მოეწყოს გერმანულად.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ი. ს. აგლაძე.**


**ნავთიან ლამპის საუკეთესო ასანთები**
„პრაქტუსი“ . . 4 მან
„ინდექსი“ . . 4 მან.
„გუნდე“ . . . 4 მან.
ყველა ლამპებისთვის გამოსადეგია.



**ა. ა. მელიქოვი.**
ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტფილისში. (10—ხალ—9)

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ ...
**სრული პასუხის მგებლობა**
ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შედარებით ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.
ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ზითაროვისა, N 28.
პატივისცემით
(20—6.—12) **ივ. ხვ. ბერძნიშვილი**

**იყიდება**
**ქვის ნახშირი**
(ა ნ ტ რ ა ც ი ტ ი)
საუკეთესო დონის მადნებისა **ინჟ. ოტონი**
შეკვეთა მიიღება ამხანაგობა „**ი ნ ჟ ი ნ ე რ-ი ს კ ა ნ ტ ო რ ა შ ი**,
კიროჩნი ქუჩა, № 5. ტელეფ. № 888.
ამასთან კანტორა კისრულობს ფეჩებ-ს გადაკეთებას ქვის ნახშირის სახმარებლად. (6—699—3)

**60 მანეთიანი 30 მანეთად**



ქ. ქუთაისში
**ა. რ. თაგაგარიას მაღაზიაში**
მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მანქანები, ველოსიპედები, ... გრამოფონები და ...



**60 მანეთიანი 30 მანეთად**
(100—6—6)

**„გრამოფონი“**
გოლოვინის პროს., № 9. ტფილისის-განყოფილება გოლოვინის პროს., № 9.
**ერიდეთ სიყალბეს!!!**
ყურადღება მიაქციეთ ამ ... ყველა ჩვენ გრამოფონს აქვს!!!
**გრამოფონი**
... მილებული აპარატები სულ ახალი კონსტრუქციისა ...



ვისაც ინტერესება და სურს,
საზოგადოება სთხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9. ...
**აპარატები იყიდება სამი წლის პასუხის-მგებლობით!!!**
**ერიდეთ სიყალბეს!** (15—5.—12)


სტამბა „ხ ი ნ ა თ ლ ე“. დიდი ვანქის ქუჩ., № 12.